



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 3 19 00370729

12/02/2019

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საქართველოს რეფორმების ასოციაცია" ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს ელექტრონული ფოსტის მისამართი: nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

2019 წლის №25 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით - რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა დინამიურად ფარავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დიდ ნაწილს, დანაშაულის ჩადენის მომენტიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, კვალიფიკაციის შეცვლის, საქმეთა გაერთიანება-გამოყოფის, წარმოებით შეწყვეტის და ა.შ. ჩათვლით.

ამავდროულად, საზოგადოებრივად რელევანტურ სამართალდარღვევათა კლასიფიცირების სტანდარტული სქემის შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგების ერთიან ფორმაში ყველა სახის დანაშაული ცალკე-ცალკე წარმოდგენილი არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფურად, დაჯამებული სახითა მოცემული. შესაბამისად, წარმოგიდგინებ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 240-245 მუხლების ჩათვლით მონაცემებს.

რეგისტრირებული დანაშაული

სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა (მუხლი 240-245)	სულ რეგისტრირებულია	გახსნილია
2013 წელი	91	34
2014 წელი	77	27
2015 წელი	92	31



2016 წელი	133	26
2017 წელი	163	24
2018 წელი	248	24

შენიშვნა: სსკ-ის 240¹-ე მუხლის რეგისტრირებული დანაშაულის ცალკე გამოყოფა არ ხდება.

ამასთან, გამოძიების დაწყების მაჩვენებელი შესაძლებელია მუხლობრივად ცალკე გამოიყოს, თუმცა საქმის შემდგომი მსვლელობა ვერ იქნება ასახული (კვალიფიკაციის შეცვლა, საქმეთა გაერთიანება-გამოყოფა, წარმოებით შეწყვეტა დაა.შ.). გამოძიების დაწყება და რეგისტრირებული დანაშაული განიხილება სტატიკურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, დისკრეტული სახით.

წარმოგიდგენთ სსკ-ის 240¹-ე მუხლის გამოძიების დაწყების მაჩვენებელს:

სსკ 240 ¹ მუხლი "ელექტრო- ან თბოენერჯის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა"	გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი	სს დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი (იმავე საანგარიშო პერიოდში დაწყებულ გამოძიებებზე)	სს დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი (წინა საანგარიშო პერიოდებში დაწყებულ გამოძიებებზე)
2013 წელი	80	4	4
2014 წელი	35	3	3
2015 წელი	30	0	0
2016 წელი	66	2	2
2017 წელი	59	1	3
2018 წელი	146	2	2

ამასთან, განცხადებით მოთხოვნილ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, გაცნობებთ რომ მითითებული გარემოებების სრულყოფილი შესწავლა საჭიროებს ინფორმაციის მოძიებას სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, შესაბამისად, სამინისტროს პასუხი გეცნობებათ ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისთანავე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
გიორგი სახოკია

